ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP

საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

ონლაინ მედიის მონიტორინგის წინასაარჩევნო ანგარიში

1 სექტემბერი - 15 ოქტომბერი, 2020

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

სარჩევი

პროექტის შესახებ 3

კვლევის მეთოდოლოგია 3

ონლაინ მედიასაშუალებების ანალიზი: 5

interpressnews.ge 5

ambebi.ge 6

kvira.ge 8

mpn.ge 9

netgazeti.ge 10

news.on.ge 11

primetime.ge 12

publika.ge 13

radiotavisupleba.ge 14

reginfo.ge 15

sknews.ge 16

sputnik-georgia.com 17

tabula.ge 18

გენდერული სტერეოტიპები ონლაინ მედიაში 20

დასკვნა 21

პროექტის შესახებ

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ გაეროს განვითარების პროექტის „საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, აკვირდება ონლაინ მედიის მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გაშუქებას. მონიტორინგი დაიწყო 2020 წლის 15 ივნისს და დასრულდება 2020 წლის დეკემბერში.

დაკვირვება მიმდინარეობდა შემდეგ 13 ონლაინ მედიასაშუალებაზე: ambebi.ge, interpressnews.ge, kvira.ge, mpn.ge, netgazeti.ge, news.on.ge, primetime.ge, publika.ge, radiotavisupleba.ge, reginfo.ge, sknews.ge, sputnik-georgia.com, tabula.ge.

კვლევის მეთოდოლოგია

მედიამონიტორინგის ფარგლებში შერჩეულ მედიასაშუალებებზე დაკვირვება ხდება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კომპონენტების გათვალისწინებით. რაოდენობრივი კვლევისას ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რა სიხშირითა და ტონით შუქდება ესა თუ ის სუბიექტი შერჩეულ მედიასაშუალებაში. გაშუქებას დადებითი ან უარყოფითი ტონი ენიჭება თუ: 1) არის სუბიექტის მიმართ დადებითი ან უარყოფითი შეფასებები ჟურნალისტის ან რესპონდენტის მხრიდან; 2) თუ თავად საკითხი ქმნის დადებით ან უარყოფით განწყობას გაშუქებული სუბიექტის მიმართ. თვისებრივი დაკვირვებისას ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რამდენად იცავს შერჩეული მედიასაშუალება ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებს, როგორიცაა: ფაქტის სიზუსტე, წყაროების მრავალფეროვნება, დაბალანსებული გაშუქება, ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის წახალისება, გენდერული სტერეოტიპების ტირაჟირება, რაიმე სახის მანიპულაცია და ა.შ.

მონიტორინგის სუბიექტებს წარმოადგენენ კვალიფიციური და არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტები, პარტიები და პოლიტიკოსები, რომლებიც 2020 წლის საპარლამენტი არჩევნებში მონაწილეობენ. მონიტორინგის სუბიექტები ასევე არიან: მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის), პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი.

მონიტორინგი არ ხორციელდება სარეკლამო სტატიებზე, რომლებსაც თან ახლავს სათანადო მინიშნება.

მასალების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის შემთხვევები ისეთ ვებგვერდებზე, რომლებიც ჩვეულებრივ ცდილობენ მაღალი ჟურნალისტური სტანდარტებით მუშაობას;

- მონიტორინგის მეორე პერიოდში, ასევე, საგრძნობლად შემცირდა გენდერული სტერეოტიპებისა და სექსისტური განცხადებების უცვლელად და უკომენტაროდ გამოქვეყნების შემთხვევები;

- შეინიშნება მცირედი გაუმჯობესება პოლიტიკური სპექტრის პლურალისტული გაშუქების კუთხით. წინასაარჩევნო პერიოდში მონიტორინგისთვის შერჩეულ ვებგვერდთა დიდი ნაწილი სათანადო ყურადღებას უთმობდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო საქმიანობისა და საარჩევნო პროგრამების გაშუქებას;

- მონიტორინგისთვის შერჩეული 13 ვებგვერდიდან 4-ის შემთხვევაში, კვლავ ცალსახად შეინიშნება, ერთი მხრივ, ხელისუფლების მუდმივად დადებითად წარმოჩენის, მეორე მხრივ კი, ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა დისკრედიტაციის მცდელობა;

- წინასაარჩევნო პერიოდში მონიტორინგისთვის შერჩეულ არც ერთ ონლაინ მედიასაშუალებაში არ შეინიშნება განსაკუთრებულად დადებითი განწყობა რომელიმე ოპოზიციური პარტიის მიმართ;

- შერჩეული ონლაინ მედიასაშუალებების ნაწილისთვის კვლავ უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან. ვებგვერდების ნაწილის მკითხველს არ ეძლევა შესაძლებლობა, რომ გაარჩიოს გამოქვეყნებული სტატიებიდან რომელია ფასიანი და რომელი რედაქციის მიერ მომზადებული ჟურნალისტური ნამუშევარი;

- რიგ შემთხვევებში გამოწვევად რჩება კრიტიკული და სიღრმისეული ანალიზის ნაკლებობა. მონიტორინგისთვის შერჩეული ვებგვერდების უმეტესობა საკითხებს აშუქებს ზედაპირულად, შემოიფარგლება სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლებისა და პოლიტიკოსთა ყოველდღიური საქმიანობისა და განცხადებების გაშუქებით. ვებგვერდების მხოლოდ მცირე ნაწილი ცდილობს, რომ საკითხები გააშუქოს სიღრმისეულად და მკითხველს შესთავაზოს მიმდინარე მოვლენების კრიტიკული და მრავალმხრივი ანალიზი;

- მონიტორინგის მეორე პერიოდში კვლავ ნაკლებად გვხვდებოდა ჟურნალისტთა ტექსტებში სიძულვილის ენისა და დისკიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. თუმცა, პრობლემურია ის, რომ ონლაინ მედიასაშუალებების ნაწილი უცვლელად და უკომენტაროდ აშუქებს პოლიტიკოსთა თუ საზოგადოებისთვის ცნობილ სხვა პირთა განცხადებებს, რომლებიც შეიცავს ასეთი სახის ტერმინოლოგიასა და შინაარსს;

- ყველაზე ხშირად ონლაინ მედიაში ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის ისეთი შემთხვევები გვხვდება, როგორიცაა ფაქტებისა და მძიმე ბრალდებების ცალმხრივი გაშუქება. მონიტორინგისთვის შერჩეულ ვებგვერდთა ნაწილში არ ჩანდა მცდელობები, რომ ჟურნალისტებს გადაემოწმებინათ მასალებში წარმოდგენილი კონკრეტული ბრალდებები კონკრეტულ პირთა მიმართ ან მოეძიებინათ ბრალდებულ მხარეთა კომენტარები.

ონლაინ მედიასაშუალებების ანალიზი:

interpressnews.ge

მონიტორინგის მეორე პერიოდში interpressnews.ge-სთვის კვლავ უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენდა კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამივჯნა სადერაქციო მასალებისგან. სახელმწიფო უწყებებისა და პოლიტიკოსების საქმიანობის შესახებ მომზადებული მასალების თითქმის ერთი მესამედი გამოქვეყნებულია კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში, თუმცა არ არის ნათლად გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.

interpessnews.ge-ზე კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებულ სტატიებს უმეტეს შემთხვევებში ერთვის წრეში მოთავსებული ლათინური სიმბოლოები NS, რაც მკითხველისთვის დამაბნეველია, ვინაიდან ცხადად არ არის მითითებული, რომ მასალა დაფინანსებული და სარეკლამოა.

სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დაფინანსებული მასალების, სათანადო მითითების გარეშე, დიდი რაოდენობით გამოქვეყნების შედეგად interpessnews.ge-ზე კვლავ ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები მმართველი გუნდის გაშუქებისას. უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით მკვეთრად გაზრდილია დადებითი ტონის მაჩვენებლები „ევროპული საქართველოსა“ და „ლელო საქართველოს“ გაშუქებისას. ხშირ შემთხვევებში, ამ პარტიების დადებითი გაშუქებაც უკავშირდება თავად პარტიების მიერ დაფინანსებული მასალების შესაბამისი მითითების გარეშე გამოქვეყნებას.

ასეთ სარეკლამო მასალებში გვხვდებოდა ბალანსის დარღვევის შემთხვევებიც. მონიტორინგის მეორე პერიოდში შეგვხვდა არაერთი დაფინანსებული სტატია, რომლებშიც ცალმხრივად იყო გაჟღერებული კონკრეტული ბრალდებები კონკრეტულ პირთა მიმართ; მაგალითად, სტატიებში: „ქართული ოცნების“ ოფისთან „ლელოს“ ქალთა საბჭოს ორგანიზებით აქცია გაიმართა“, 13 სექტებმერი; „ლევან თარხნიშვილი - ადამიანების იგნორირება, გამდიდრებული ბიუროკრატები, ზეწოლა და ორმაგი სტანდარტი - ესაა „ქართული ოცნების“ სახე“, 19 სექტემბერი.

დისბალანსის პრობლემა გვხვდება ისეთ მასალებშიც, რომლებიც რედაქციის მიერ არის მომზადებული. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით პრობლემურია ცალმხრივად ისეთი საკითხების გაშუქება, რომლებშიც სხვადასხვა სახის კანონშეუსაბამო ქმედებაშია დადანაშაულებული კონკრეტული პირები. მაგალითად, სტატიაში - ეკა ბესელია - რითაც ირაკლი კობახიძე არის დაკავებული, ჰქვია საარჩევნო წესების დარღვევა და „შავი ფულის“ გამოყენება ცალმხრივად არის დადანაშაულებული მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი უკანონო საქმიანობაში.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ interpessnews.ge-ს მკითხველს არ ეძლევა საშუალება, რომ ნათლად გაარჩიოს, თუ რომელი სტატიებია მომზადებული რედაქციის მიერ და რომელი ქვეყნდება რეკლამის სახით, მაშინ, როდესაც პოლიტიკისა და არჩევნების საკითხებთან დაკავშირებული მასალების თითქმის ერთი მესამედი წარმოადგენს შესაბამისი მითითების გარეშე გამოქვეყნებულ სარეკლამო სტატიებს.



ambebi.ge

მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით, მეორე პერიოდში ambebi.ge-ზე უფრო აქტიურად შუქდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა საქმიანობა.

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურ პარტიათა გაშუქებისას ambebi.ge-ზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პარტიის მიმართ, თუმცა ხშირად ქვეყნდებოდა სტატიები თბილისის მერის, კახა კალაძის, შესახებ, რომლებიც არა მის პროფესიულ საქმიანობას, არამედ პირად ცხოვრებას ეხებოდა და პოზიტიურად წარმოაჩენდა მას; მაგალითად, სტატიები: „დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო სამყაროვ“ - კახა კალაძის უმცროსი ვაჟი 2 წლის გახდა (ფოტოკოლაჟი)“ (4 სექტემბერი); „ჩემი ქმარი არ აკეთებს არაფერს? კახას არც ერთი თვის ხელფასი არ აუღია“ - როგორ უპასუხა ანუკი არეშიძემ „ინსტაგრამზე“ მწვავე კრიტიკას“ (21 სექტემბერი); „როგორ ცეკვავს კახა კალაძე შვილებთან ერთად - რა ვიდეოს აქვეყნებს ანუკი არეშიძე“ (5 ოქტომბერი).

მონიტორინგის მეორე პერიოდში გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც გამოცემამ მხოლოდ ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვით, მმართველი პარტიის საარჩევნო სიის შედგენის დროს გამოყენებული იყო სხვადასხვა სახის გამოცდა, მათ შორის უნარების ტესტი, თუმცა, რამდენიმე კანდიდატი ნეპოტიზმის ნიშნით შეირჩა და დასახელებულია ეს კანდიდატები. აღნიშნულ სტატიაში „უნარების ტესტებიც იყო, კამერასთან ვარჯიშიც... ზოგი ჩაიჭრა, მაგრამ სიაში მაინც მოხვდა, როგორც ვიცი, ასეთია ანუკი არეშიძის მეგობარი“ - როგორ შეარჩიეს ახალი სახეები „ოცნების“ პროპორციული სიისთვის“ (13 ოქტომბერი) არ იყო წარმოდგენილი ჟურნალისტის მცდელობა, რომ

ანონიმური წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაცია გადაემოწმებინა, დაკავშირებოდა უშუალოდ ნეპოტიზმში დადანაშაულებულ პირებს, ან პარტია "ქართული ოცნების" წარმომადგენლებს, რაც აჩვენებდა ჟურნალისტის მხრიდან აუდიტორიის პატივისცემას, რომლის უფლებაა მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

დაუბალანსებელი გაშუქების პრობლემა განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც საქმე ეხება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სისხლის სამართლის დანაშაულების გაშუქებას. საანგარიშო პერიოდში ასეთი გახლავთ დავითგარეჯას, ე.წ. კარტოგრაფების საქმე. ამ საკითხზე გამოცემის მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატია - "მახსოვს, როგორ გვიმტკიცებდნენ ნიკა რურუა და ნინო კალანდაძე, რა ვქნათ, ეს აზერბაიჯანის ტერიტორიაა" - ისტორიკოსები დავით გარეჯის საქმეზე - ასახავს მხოლოდ 2 ისტორიკოსის პოზიციას და ორივე ადანაშაულებს ამ საქმეზე ბრალდებულ პირებს, ასევე, ავითარებენ მოსაზრებას, რომ მათ დანაშაული წინა ხელისუფლების დავალებით ჩაიდინეს. სტატიაში არ არის წარმოდგენილი არც ბრალდებული პირების ან დადანაშაულებული მხარის პოზიციები, ასევე, იმ სპეციალისტების შეფასებები, რომლებიც განსხვავებულად აფასებენ აღნიშნულ საქმეს.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგის მეორე პერიოდშიც ambebi.ge-სთვის გამოწვევას წარმოადგენს ინფორმაციის წყაროთა ბალანსის დაცვა ცალკეულ სტატიებში და გაჟღერებულ ბრალდებებზე ჟურნალისტთა მხრიდან მცდელობა ინფორმაციის გადასამოწმებლად, რაც მკითხველისთვის ზუსტი ინფორმაციის მიღების პრობლემას ქმნის.



kvira.ge

მონიტორინგის მეორე პერიოდში kvira.ge კვლავ ძირითადად დაკავებული იყო, ერთი მხრივ, მმართველი გუნდის დადებითად წარმოჩენის, ხოლო, მეორე მხრივ, ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა დისკრედიტაციის მცდელობით. ვებგვერდზე გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტების მძიმე დარღვევის შემთხვევები, როგორიცაა მოვლენების ცალმხრივი გაშუქება და კონკრეტულ პირთა მიმართ დაუდასტურებელი ბრალდებების ხშირი გამოქვეყნება.

წინასაარჩევნო პერიოდში kvira.ge აქტიურად აშუქებდა მხოლოდ მმართველი პარტიის წინასაარჩევნო საქმიანობას და ასეთ სტატიებში მმართველი გუნდის წარმომადგენლები ყოველთვის დადებითად ან ნეიტრალურად იყვნენ წარმოდგენილნი. ვებგვერდზე არ შუქდებოდა ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო საქმიანობა, მათი საარჩევნო პროგრამები და დაპირებები. ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა საქმიანობა სისტემატურად შუქდებოდა უკიდურესად უარყოფითი ტონით. განსაკუთრებით აღსანიშნავია უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (77%) და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (80%) გაშუქებისას.

გამოცემა სისტემატიურად აქვეყნებს რეგიონებში თვითმმართველობების ან მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატების აქტივობების შესახებ პიარსამსახურების მიერ მომზადებულ მასალებს, თუმცა არ არის აღნიშნული, რომ ეს მასალები სარეკლამო ან კომერციული ხელშეკრულების ფარგლებშია გამოქვეყნებული.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში kvira.ge-ს მიზანი არა საზოგაოდების ინფორმირება, არამედ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაა ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის მხარდასაჭერად.



mpn.ge

მონიტორინგის მეორე პერიოდში mpn.ge-ზე კვლავ ცხადად შეინიშნებოდა ერთი მხრივ უაღრესად დადებითი განწყობა სახელისუფლებო გუნდის, ხოლო, მეორე მხრივ, უკიდურესად უარყოფითი განწყობა ოპოზიციური პარტიების მიმართ. ვებგვერდზე სისტემატურად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტების უხეში დარღვევის შემთხვევები. გამოცემა არ მიჯნავს ერთმანეთისგან სარეკლამო და სარედაქციო მასალებს. მონიტორინგის პირველი პერიოდის მსგავსად, mpn.ge-ზე მონიტორინგის მეორე პერიოდშიც ხშირად გვხვდებოდა უკიდურესად შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა გაშუქებისას; მაგალითად, 7 ოქტომბერს გამოქვეყნებულ მასალაში „გიორგი ბარამიძე @ლეობს“ წარმოდგენილი იყო ვიდეოფაილი მინაწერით „მიხეილ სააკაშვილის „გასაპრავებლად“ ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გიორგი ბარამიძემ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში თავის და@ლევების მასტერკლასი ჩაატარა“.

აქტიურად და დადებით კონტექსტში შუქდებოდა მმართველი პარტიის წინასაარჩევნო საქმიანობა და დაპირებები. ოპოზიციონერ კანდიდატთა გაშუქებისას კი წარმოდგენილი იყო მათი კრიტიკა და მადისკრედიტებელი განცხადებები.

mpn.ge-ზე კვლავ აქტიურად შუქდებოდა საზოგადოებისთვის ცნობილ სხვადასხვა პირთა Facebook სტატუსები, რომლებიც შეურაცხყოფდა ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს (მაგალითად, სტატია „ვინაა, თქვე ბო*ებო, თქვენი მათხოვარი?! ეს მოსყიდვაა! - ამათი მეორადი დედები გაბურღა შაქროს ვირმა!“ - გელა ზედელაშვილი „ნაცმოძრაობაზე“, 5 ოქტომბერი).

გამოცემა აქვეყნებდა ისეთ მასალებს, რომლებიც შეიცავდა ჰომოფობიურ, თურქოფობიურ განცხადებებს.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავსკვნათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში mpn.ge-ს მიზანი არა მიმდინარე მოვლენების ობიექტური გაშუქება, არამედ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაა მმართველი პარტიის სასარგებლოდ და ყოფილი სახელისუფლებო გუნდის საწინააღმდეგოდ.



netgazeti.ge

მონიტორინგის მეორე პერიოდში netgazeti.ge კვლავ გამოირჩეოდა მიმდინარე პოლიტიკური პროცესების სიღრმისეული, მიუკერძოებელი და ეთიკური გაშუქებით.

წინასაარჩევნო პერიოდში netgazeti.ge მკითხველს სთავაზობდა ინფორმირებული არჩევანისთვის აუცილებელ ცნობებს საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო პროგრამებიდან და დაპირებებიდან.

Netgazeti.ge-ს მკითხველს საშუალება აქვს მიიღოს ინფორმაცია, თუ რა გეგმები აქვთ საარჩევნო სუბიექტებს ჯანდაცვის, უმცირესობების უფლებების დაცვის, ნარკოპოლიტიკის და სხვა მიმართულებით. ამასთან, გამოცემა საარჩევნო სუბიექტების მიერ სხვადასხვა პლატფორმაზე (მაგალითად, პლატფორმაზე partiebi.ge, რომელიც აქვეყნებს სხვადასხვა საკითხზე პარტიების ხედვებს) გამოქვეყნებული პროგრამებისა და დაპირებების გაშუქებით არ შემოიფარგლება და ხშირად უშუალოდ უკავშირდება პარტიების წარმომადგენლებს აუდიტორიისთვის საინტერესო საკითხებზე მათი პასუხების მისაღებად.

netgazeti.ge-ზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობები რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები „პატრიოტთა ალიანსის“ (69%), „ქართული ოცნებისა“ (46%) და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (32%) გაშუქებისას გამოვლინდა. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი პრემიერ-მინისტრს (22%) ერგო.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავსკვნათ, რომ netgazeti.ge მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს წინასაარჩევნო პერიოდში. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები. netgazeti.ge მკაფიოდ მიჯნავს სარეკლამო სტატიებს სარედაქციო მასალებისგან.



news.on.ge

მონიტორინგის მეორე პერიოდში news.on.ge კვლავ სათანადო ყურადღებას უთმობდა არჩევნებში მონაწილე პარტიების მიუკერძოებელ გაშუქებას.

წინასაარჩევნო პერიოდში news.on.ge-ზე ობიექტურად და მიუკერძოებლად შუქდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრები. გამოცემა აუდიტორიას აწვდიდა პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო სუბიექტების ხედვებს, შეფასებებს, დაპირებებს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა უმცირესობების უფლებების დაცვა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი და ა.შ.

ვებგვერდზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფით განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. მონიტორინგის მეორე პერიოდში არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა დადებითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები კი „პატრიოტთა ალიანსის“ (51%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (35%), „ქართული ოცნებისა“ (31%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (26%) გაშუქებისას გამოვლინდა.

მონიტორინგის მეორე პრიოდში news.on.ge-ზე არ გამოვლენილა ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის შემთხვევები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში news.on.ge აქტიურად და მიუკერძოებლად აშუქებს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები. წარმოდგენილ პერიოდში იმ სუბიექტებზე მომზადებული სარეკლამო მასალები, რომლებიც იყვნენ მონიტორინგის სუბიექტები, მკაფიოდ იყო გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.



primetime.ge

მონიტორინგის მეორე პერიოდში primetime.ge-ზე კვლავ უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენდა სარეკლამო სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან. ვებგვერდზე ხშირად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტების უხეში დარღვევების შემთხვევები, როგორებიც არის კონკრეტულ პირთა მიმართ კონკრეტული ბრალდებებისა და გადაუმოწმებელი, დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელება.

primetime.ge-ზე სუბიექტთა გაშუქების ტონი ხშირ შემთხვევებში იცვლებოდა სარეკლამო, შეკვეთილი სტატიების ხარჯზე. მაგალითად, მონიტორინგის მეორე პერიოდში მკვეთრად გაიზარდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები პრემიერ-მინისტრის გაშუქებისას (მონიტორინგის პირველ პერიოდში უარყოფითი ტონის 14 პროცენტი, მეორე პერიოდში კი უარყოფითი ტონის 59 პროცენტი). აღნიშნული ცვლილება განაპირობა არა სარედაქციო სტატიებში წარმოდგენილმა კრიტიკამ, არამედ „სტრატეგია აღმაშენებლის“ მიერ დაფინანსებული სტატიების სიმრავლემ, რომლებშიც სისტემატურად ისმოდა პრემიერ-მინისტრის კრიტიკა (მაგალითად, სტატიებში: „სამწუხაროდ, ჯერ კიდევ პრემიერი გახარია ძალიან დაბნეული ჩანდა დღეს, საკმარისზე მეტი დრო იყო მომზადებისთვის - გიორგი ვაშაძე“, 11 სექტემბერი; „კუზიანს სამარე გაასწორებს“ - გიორგი ვაშაძე „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის წარდგენაზე“, 9 ოქტომბერი). უნდა აღინიშნოს, რომ, მეორე მხრივ, primetime.ge-ს რედაქციის მიერ მომზადებულ მასალებში სისტემატურად გვხვდება მმართველი გუნდის უაღრესად დადებითად, ხოლო ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა უკიდურესად უარყოფითად წარმოჩენის მცდელობა. პრემიერ-მინისტრის გაშუქება კი კარგი მაგალითია იმის ილუსტრაციისთვის, თუ რა სიმწვავის პრობლემას წარმოადგენს primetime.ge-ზე სარეკლამო მასალების შესაბამისი მითითების გარეშე ხშირი გამოქვეყნება. სარეკლამო მასალებს გამოცემა ბოლოში ურთავს ლათინურ “რ”-ს (R), რაც აუდიტორიისთვის არ არის ნათლად აღქმადი მითითება.

primetime.ge-ზე ხშირად გვხვდებოდა დაუსაბუთებელი ბრალდებებისა და დაუზუსტებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები. მაგალითად, სტატიაში „ზოდელავა: მეორე ტალღის მიზეზი „ქართული ოცნების“ მიერ ინფიცირებული ფულის გავრცელებაა“ (11 სექტემბერი), უცვლელად და უკომენტაროდ გამოქვეყნდა ისეთი უკიდურესად საეჭვო ბრალდება, როგორიც არის პოლიტიკური პარტიის მიერ შეგნებულად „ინფიცირებული ფულის გავრცელება“.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ primetime.ge-ზე სისტემატურად ირღვევა ჟურნალისტური სტანდარტები. ვებგვერდზე ხშირად ვრცელდება დაუდასტურებელი ინფორმაცია და ბრალდებები.

(შენიშვნა: primetime.ge-ს მონიტორინგის შედეგები წარმოდგენილია 1 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით. ამ პერიოდში რედაქციამ მეტად გააქტიურა მეორე ვებგვერდი - ptn.ge. ხოლო primetime.ge-ზე კი მნიშვნელოვნად იკლო პოლიტიკასთან და არჩევნებთან დაკავშირებული სტატიების გამოქვეყნების სიხშირემ. შესაბამისად, 2020 წლის საარჩევნო მედიამონიტორინგის ფარგლებში primetime.ge-ს მონიტორინგი დასრულდა 30 სექტემ-ბერს).



publika.ge

მონიტორინგის მეორე პერიოდში publika.ge მიუკერძოებლად და სიღრმისეულად აშუქებდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ვებრგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები.

publika.ge-ზე არ გამოვლენილა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობები რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა „პატრიოტთა ალიანსისა“ (43%) და „ქართული ოცნების“ (40%) გაშუქებისას. დადებითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი კი „ევროპულ საქართველოს“ (24%) ერგო.

წინასაარჩევნო პერიოდში publika.ge-ზე ობიექტურად და მიუკერძოებლად შუქდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრები, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული ხედვები და საარჩევნო პროგრამები. გამოცემამ მკითხველს შესთავაზა საარჩევნო სუბიექტების ხედვები ჯანდაცვის, გარემოს დაცვის და სხვა მიმართულებით.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში publika.ge მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მინდინარე მოვლენებს. ვებგვერდზე არ გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის შემთხვევები. publika.ge მკაფიოდ მიჯნავს სარეკლამო სტატიებს სარედაქციო მასალებისგან.



radiotavisupleba.ge

მონიტორინგის მეორე პერიოდში radiotavisupleba.ge გამოირჩეოდა საკითხების კრიტიკული და სიღრმისეული გაშუქებით. სტატიებში დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები.

გამოცემამ აუდიტორიას შესთავაზა საარჩევნო სუბიექტების დაპირებებზე სიღრმისეული და ანალიტიკური მასალები, რომლებშიც მკითხველს საშუალება ჰქონდა არა მხოლოდ პარტიების ხედვებს, არამედ ექსპერტების შეფასებებსაც გაცნობოდა.

საანგარიშო პერიოდში არაერთი კრიტიკული და სიღრმისეული მასალა შეთავაზა გამოცემამ აუდიტორიას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა დისტანციური სწავლების პრობლემები სკოლებში ან COVID-19 ბრძოლის კუთხით ჯანდაცვის სისტემაში არსებული პრობლემები და ა.შ.

radiotavisupleba.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენელბლები გამოვლინდა „პატრიოტთა ალიანსის“ (32%), „ქართული ოცნების“ (30%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა (24%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (19%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში radiotavisupleba.ge ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები.



reginfo.ge

მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით, reginfo.ge-ზე მკვეთრად მოიმატა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა გაშუქების სიხშირემ. ვებგვერდზე არ შეინიშნებოდა განსაკუთებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ.

მონიტორინგის მეორე პერიოდში reginfo.ge-ზე უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა „პატრიოტთა ალიანსის“ (56%), ადგილობრივი მთავრობის (45%), „ქართული ოცნებისა“ (43%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (30%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი პარტიას „ლელო საქართველოსთვის“ (32%) ერგო.

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკოსთა და პოლიტიკურ პარტიათა აქტივობები შუქდებოდა ობიექტურად და მიუკერძოებლად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ reginfo.ge-ზე ნაკლები სიხშირით შუქდებოდა პარტიათა საარჩევნო პროგრამები. გამოცემა, როგორც რეგიონებზე ფოკუსირებული მედია, უფრო მეტ დროს უთმობს ზოგიერთ რეგიონში, მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთში ან მცხეთა-მთიანეთში მაჟორიტარი კანდიდატების სამეწარმეო თუ პოლიტიკური საქმიანობის ან მათი დაპირებების შესახებ ცნობების გამოქვეყნებას.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავაკვნათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში reginfo.ge მიუკერძოებლად აშუქებს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები. reginfo.ge მკაფიოდ მიჯნავს სარეკლამო სტატიებს სარედაქციო მასალებისგან.



sknews.ge

მონიტორინგის მეორე პერიოდში sknews.ge, რომელიც სამცხე-ჯავახეთის რეგიონული გამოცემაა, კვლავაც აქტიურად აშუქებდა აღნიშნულ რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. ვებგვერდზე არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობები რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. სტატიებში დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები.

მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით sknews.ge-ზე გაიზარდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ქართული ოცნებისა“ (45%) და ადგილობრივი მთავრობის (40%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი პრემიერ-მინისტრს (16%) ერგო.

წინასაარჩევნო პერიოდში sknews.ge-ზე ობიექტურად და მიუკერძოებლად შუქდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრები, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული ხედვები და საარჩევნო პროგრამები.

გამოცემამ აუდიტორიას შესთავაზა რეგიონში არსებულ ერთ-ერთი საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატების ხედვები, თუ როგორ აპირებენ ისინი უმუშევრობის, უმცირესობისა და რეგიონში არსებული პრობლემების მოგვარებას; ასევე,

აუდიტორიას გააცნო ჯავახეთში მცხოვრები ამომრჩევლების პოლიტიკური განწყობები და ა.შ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავსკვნათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში sknews.ge მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები. აღსანიშნავია, რომ sknews.ge მკაფიოდ მიჯნავს სარეკლამო სტატიებს სარედაქციო მასალებისგან.



sputnik-georgia.com

მონიტორინგის მეორე პერიოდში sputnik-georgia.com-ზე კვლავ ცხადად შეინიშნებოდა მმართველი გუნდის მხარდაჭერა. ვებგვერდზე პრაქტიკულად ყველა საკითხი შუქდებოდა ხელისუფლების მიმართ დადებითი ტონით.

sputnik-georgia.com-ზე კვლავ ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები ადგილობრივი მთავრობის (60%), „ქართული ოცნებისა“ (37%) და მთავრობის (33%) გაშუქებისას.

ხელისუფლების მიმართ დადებითი განწყობა გამოიხატებოდა მოვლენების ცალმხრივ, ხელისუფლების მიმართ მხოლოდ დადებითი კუთხით გაშუქებაში. მაგალითად, 12 სექტემბერს, ეკონომიკის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოქვეყნდა სტატია, „თითქმის მთელი პლანეტის ავანგარდში: საქართველო ეკონომიკურად თავისუფალი ქვეყნების ათეულშია“, რომლის მიხედვით, საქართველოს პოზიცია რეიტინგში გაუმჯობესდა ისეთ მაჩვენებლებში, როგორიცაა, მაგალითად, “მყარი ვალუტა”. სტატიაში არ იყო მოცემული არანაირი ინფორმაციაზე იმაზე, თუ როგორ უფასურდება

წლიდან წლამდე ქვეყანაში ეროვნული ვალუტა და არ ჩანდა რეალობის მრავალმხრივი აღწერის მცდელობა.

წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი პარტიის მიმართ ცალსახად დადებითი განწყობა გამოიხატებოდა საზოგადოებრივი აზრის კვლევების გაშუქებაში. ასეთი სტატიები ქვეყნდებოდა შემდეგი სათაურებით: „Survation: „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნო რეიტინგის ლიდერია“ (10 სექტემბერი); „Gorbi: გამოკითხულთა ნახევარი ფსონს „ქართულ ოცნებაზე“ აკეთებს“ (13 სექტემბერი); „ახალი გამოკითხვა: „ქართული ოცნება“ კიდევ ექვს მაჟორიტარულ ოლქში იმარჯვებს“ (1 ოქტომბერი).

მონიტორინგის შედეგად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ წინასაარჩევნო პერიოდში sputnik-georgia.com-ის მიზანი არა საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, არამედ საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციაა მმართველი პარტიის მხარდასაჭერად.



tabula.ge

მონიტორინგის მეორე პერიოდში tabula.ge კვლავ გამოირჩეოდა ხელისუფლების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები, თუმცა მონიტორინგის მეორე პერიოდშიც შეგვხვდა ფოტომანიპულაციის რამდენიმე შემთხვევა.

tabula.ge-ზე უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა „პატრიოტთა ალიანსის“ (56%), „ქართული ოცნებისა“ (45%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (25%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი კი „ევროპულ საქართველოს“ (19%) ერგო.

წინასაარჩევნო პერიოდში tabula.ge უმეტესად მიუკერძოებლად აშუქებდა პოლიტიკური პარტიების საქმიანობას, თუმცა ვებგვერდზე შეგვხვდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლების შესახებ მომზადებულ სტატიებს ერთვოდა შეუსაბამო ფოტოსურათები. მაგალითად, მასალებს: „ივანიშვილი: ქართველი კაცი ვაზს უნდა აშენებდეს, აბა, რას უნდა აკეთებდეს“ (1 ოქტომბერი); „ივანიშვილი: ვერ მივიღებთ ბრალდებას, რომ სიღარიბე „ოცნების“ მმართველობის შედეგია“http://www.tabula.ge/ge/verbatim/179369-ivanishvili-ver-mivighebt-braldebas-rom-sigharibe-ocnebis-mmartvelobis-shedegia (1 ოქტომბერი) ერთვოდა მმართველი პარტიის თამჯდომარის ისეთი რაკურსით გადაღებული ფოტოსურათები, რომლებზეც ის არაადეკვატურად გამოიყურება.



გენდერული სტერეოტიპები ონლაინ მედიაში

2020 წლის მონიტორინგის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმაზე დაკვირვებას, თუ რამდენად იცავენ ქართული ონლაინ მედიასაშუალებები პოლიტიკოსთა თუ საზოგადოებისთვის ცნობილ სხვა პირთა მიერ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებების გაშუქებას.

მონიტორინგის მეორე პერიოდში კვლავ პრობლემური იყო ცალკეული მედიასაშუალებების მიერ რესპონდენტების მხრიდან გაკეთებული სექსისტური ან გენდერული სტერეოტიპების წამახალისებელი განცხადებების ტირაჟირება.

მაგალითად, მმართველი პარტიის კონსულტანტის ლაშა ნაცვლიშვილის სექსისტური და გენდერული სტერეოტიპებით გაჯერებული განცხადებები უცვლელად და უკომენტაროდ გამოაქვეყნეს გამოცემებმა: kvira.ge, mpn.ge, primetime.ge.

აღნიშნული გამოცემების მიერ გავრცელებულ ციტატებში ლაშა ნაცვლიშვილი ოპოზიციის ერთ-ერთ წარმომადგენელს "მიტოვებული ქალებისთვის დამახასიათებელი შურისძიების დაუძლეველი ვნებით აღსავსეს" უწოდებს, რაც აღვივებს გენდერულ სტერეოტიპს, რომ შურისძიება "მიტოვებული ქალების" დამახასიათებელი შტრიხია, მაშინ როცა ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა ცხადყოფს, რომ სწორედ კაცების შურისძიების შედეგია ფემიციდის გახშირებული შემთხვევები საქართველოში.

ნაცვლიშვილის შეფასებით, "ძალაუფლება სასურველ, მაგრამ ჭირვეულ ქალს ჰგავს, რომელსაც პირადად, უშუალოდ, ფიზიკურად უნდა დაეუფლო. უნდა მიხვიდე და აიღო". ამ განცხადებით ხდება ქალის სექსუალიზება, ობიექტივიზაცია, რომელსაც უნდა დაუფლოს ამ შემთხვევაში მამაკაცი პოლიტიკოსი (მიხეილ სააკაშვილი).

ნაცვლიშვილი ოპონენტების ლანძღვისთვის იყენებს ეპითეტებს, რომლებითაც ქალებს აკავშირებს სექსთან და სექსმომსაურებასთან: "**ჩვენი პროგრესისტი ინ ტელექტუალების სახელოვანი კოჰორტა. თან ურცხვად იმეორებენ, „წითელი ინტელიგენცია" სერვილური იყოო, ეს მართლა მიშას „აბსლუგა" და ათშაურიანი „ესკორტის გოგონები**".

საანგარიშო პერიოდში შეგხვდა მედიის მხრიდან გენდერულად სენსიტიური გაშუქების მაგალითებიც. მაგალითად, news.on.ge-მ სტატიაში - პოლიტიკა ქალებს ნაკლებადაინტერესებთ, ამ საქმიანობას მეტი გამბედაობა სჭირდება — ხვიჩია დასაწყისშივე მიუთითა, რომ "გირჩის" ერთ-ერთმა ლიდერმა იაგო ხვიჩიამ სექსისტური განცხადება გააკეთა.

tabula.ge-მ გამოაქვეყნა სტატია „შალვა ნათელაშვილმა ქალი კანდიდატები „გემრიელ ლუკმად" წარადგინა" (26 სექტემბერი), რომელშიც რედაქციამ აღნიშნა, რომ „ლეიბორისტული პარტიის" ლიდერის მიერ ქალი კანდიდატების „გემრიელ ლუკმად" და „ულამაზეს ლუკმად" წარდგენა კრიტიკოსებმა სექსიზმად შეაფასეს.

დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგის მეორე პერიოდში ონლაინ მედიაში შემცირდა გენდერული სტერეოტიპების შემცველი და სექსისტური განცხადებების გავრცელების შემთხვევები.

დასკვნა

მონიტორინგის მეორე პერიოდში შეინიშნებოდა ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის შემთხვევების კლება ისეთ ვებგვერდებზე, რომლებიც ჩვეულებრივ ცდილობენ მაღალი ჟურნალისტური სტანდარტებით მუშაობას. ასეთ ვებგვერდებზე მონიტორინგის პირველ პერიოდში, გამონაკლისის სახით, გამოვლინდა რამდენიმე დარღვევა, თუმცა, მონიტორინგის მეორე პერიოდში ასეთი დარღვევების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა.

შემცირდა გენდერული სტერეოტიპებისა და სექსისტური განცხადებების გავრცელების შემთხვევებიც.

მონიტორინგის პირველ პერიოდთან შედარებით თითქმის ყველა შერჩეულ ვებგვერდზე შემცირდა დადებითი ტონის მაჩვენებლები პრემიერ-მინისტრის გაშუქებისას. როგორც მონიტორინგის პირველ ანგარიშში აღინიშნა, COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის აღმოფხვრის სამთავრობო გეგმის გაშუქება აისახა იმაში, რომ მონიტორინგისთვის შერჩეულ ყველა ვებგვერდზე ჭარბობდა დადებითი ტონის პროცენტული მაჩვენებლები პრემიერ-მინისტრის გაშუქებისას; ისეთ ვებგვერდებზეც კი, რომლებიც გამოირჩეოდნენ განსაკუთრებულად კრიტიკული დამოკიდებულებით სახელისუფლებო გუნდის მიმართ. ეს გარემოება განაპირობა იმან, რომ სამთავრობო ფინანსური დახმარებების შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია ეწოდებოდა პრემიერ-მინისტრის მხრიდან, რაც შესაბამისად აისახა მედიაში მის დადებით გაშუქებაზე. მონიტორინგის მეორე პერიოდში კი პრემიერ-მინისტრის გაშუქებისას დადებითი ტონის პროცენტულმა მაჩვენებლებმა იკლო ონლაინ მედიასაშუალებებში.

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო საქმიანობა, საარჩევნო პროგრამები და ხედვები კონრეტულ საკითხებთან დაკავშირებით საკმაოდ აქტიურად და მიუკერძოებლად შუქდებოდა ვებგვერდების დიდ ნაწილში. შერჩეულ მედიასაშუალებათა მცირე ნაწილი კი, კერძოდ, 13-დან 4 ვებგვერდი, კვლავ უმეტესად მმართველი გუნდის დადებითად წარმოჩენის მცდელობით იყო დაკავებული.

რეიტინგული მედიასაშუალებების ნაწილი არასათანადოდ ან საერთოდ არ მიჯნავს სარედაქციო და სარეკლამო მასალებს, რაც საზოგადოებისთვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდების პრობლემას ქმნის.

ონლაინ მედიაში მონიტორინგის მეორე პერიოდში არ შეინიშნებოდა მწვავე პოლიტიკური პოლარიზაცია. მართალია რამდენიმე ვებგვერდზე ცალსახად შეინიშნებოდა მმართველი გუნდის მხარდაჭერა და ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა დისკრედიტაციის მცდელობა, თუმცა, მეორე მხრივ, მონიტორინგისთვის შერჩეულ არც ერთ ვებგვერდზე არ გამოვლენილა ცალსახად დადებითი განწყობა რომელიმე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის მიმართ.